



**სს „იავნანა“
(ს/კ 217879259)
ფინანსური ანგარიშგება**

2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის
საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის შესახებ



შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება-----	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	827 808	407 141	192 041
სავაჭრო მოთხოვნები	901 818	760 081	666 984
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები			
- მზა პროდუქცია			
- სხვა	6 117	12 610	15 214
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	246 224	258 249	244 919
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	566 181	487 318	535 696
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	140 000	140 000	140 000
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	552 745	552 745	552 745
სულ აქტივები	3 240 893	2 618 144	2 347 599
ვალდებულებები			
599ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	18 004	35 823	16 998
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	75 540	68 516	58 965
საგადასახადო ვალდებულებები	12 879	11 271	8 621
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	380 422	380 422	380 422
სულ ვალდებულებები	486 845	496 032	455 006



საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1 150 745	1 150 745	1 150 745
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1 466 660	834 724	595 205
გადაფასების რეზერვი	136 643	136 643	136 643
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	2 754 048	2 122 112	1 882 593
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 240 893	2 618 144	2 347 599

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	3 477 105	3 022 159
საქონლის გაყიდვიდან	15 881	42 040
მომსახურების გაწევიდან	3 461 224	2 980 119
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(15 952)	(32 609)
საწყისი მარაგები	(12 610)	(15 214)
მარაგების შესყიდვა	(9 459)	(30 005)
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	6 117	12 610
საერთო მოგება		



სხვა შემოსავალი	70 709	27 691
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 905 859)	(1 711 674)
ცვეთა და ამორტიზაცია	(80 860)	(86 374)
საპროცენტო შემოსავალი:	32 729	14 249
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი	(36 000)	(36 000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(579 936)	(597 407)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2 499 217)	(2 389 515)

საოპერაციო მოგება	961 936	600 035
--------------------------	----------------	----------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		6 000
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	961 936	606 035

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2 122 112	1 882 593
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(330 000)	(363 540)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(2976)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2 754 048	2 122 112



სს „იავნანა“

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

სს „იავნანა“ (ს.კ. 217879259) რეგისტრირებულია გორის რაიონული სასამართლოს მიერ 2000 წლის 1 თებერვალს. მისი იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ.გორი ჭავჭავაძის ქ.#104. 2009 წლის 22 აპრილს მოხდა რეორგანიზაცია, სს „მომავალის“ (ს.კ.217888506) და სს „იავნანას“ (ს.კ.217889259) შერწყმა. შერწყმის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტია სს „იავნანა“ (ს.კ. 217879259).

სს „იავნანას“ 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ჯორჯიანმედი“ (ს.კ.200207819). ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი დავით ქაჯაია (პ.ნ.01017002298).

სს „იავნანას“ (დედათა და ბავშვთა ცენტრი) ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურების გაწევა (სამშობიარო და ბავშვთა საავადმყოფო).

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

სს „იავნანა“ ფლობს 40% წილს შპს „იავნანამედის“ (ს.კ.417876034).

2. მომზადების საფუძვლები

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.



2.2. ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ, დაშვებების ადექვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი სამედიცინო საქმიანობის გაგრძელებას და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

2.3. ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

3.1. აღრიცხვის საფუძვლები

სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი "მეწარმეთა შესახებ" და კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, მსს ფასს სტანდარტები, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით, ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა „ორისში“.

საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით რომ, შესაბამისობაში მოდიოდეს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო

პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე



არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.2. ძირითადი საშუალებები

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს, ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით. საინვესტიციო ქონებისა და ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა.

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	შენობები და ნაგებობები	სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2018	113 295	239 581	928 692	484 360	2 539	1 768 467
შემოსვლა		59 744	77 216	3 392	19600	159 952
გადაფასება						-
გასვლა	-	-		-	2 539	2 539
31 დეკემბერი 2019	113 295	299 325	1 005 908	487 752	19 600	1 925 880
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2018	-	(188 756)	(716 502)	(373 581)	(2 364)	(1 281 203)
პერიოდის ცვეთა	-	(4 745)	(51 321)	(22 834)	(1960)	(80 860)
გასვლა	-	-		-	2364	2364
31 დეკემბერი 2019	-	(193501)	(767 823)	(396 415)	(1960)	(1 359 699)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2018	113 295	50 825	212 190	110 779	229	487 318
31 დეკემბერი 2019	113 295	105 824	238 085	91 337	17 640	566 181

3.3 სასაქონლო - მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.



3.4. ამონაგები

ჩვენი საწარმოსათვის შემოსავალი განიხილება, როგორც ამონაგები სამედიცინო მომსახურების გაწევიდან. კომპანიის სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებიდან, სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.

ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული.

3.5. ხარჯები

ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

3.6. სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

დივიდენდი გაიცემა კომპანიის მფლობელ შპს-ზე.



საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია.

დირექტორი:

დავით ქაჯაია